რედაქცია
ერევნის მეიდანზე, შუასახლის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ რუსთველის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა
მიიღება „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“ и „Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებისთვის ასოთი ასოზე ნახევარი კაპ. წვრილებისთვის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უსათუოდ ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

1 ენკენისთვიდამ წლის დამლევამდის
**დროება**
ღირს სამი მანეთი
**ივერია**
ოთხი მანეთი
„დროება“ და „ივერია“ ერთად
შვიდი მანეთი

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 10 სეკტემბერი. რეველის გაზეთი გვაცნობებს, რომ მმართებლობამ დედა-აზრით მიიღო გადაწყვეტილება გაუქმოს ბეჭდვის საქმეების მთავარ სამმართველო. პროვინციის წერა-ბეჭდვის საქმეს სატახტო ქალაქისას შეუთანასწორებენ; შემდეგ ყოველივე ცენზურა მოსპობილი იქნება, ბეჭდვითი დანაშაულობაზე პასუხის-მგებელნი გამომცემლები ანუ რედაქტორები იქნებიან. თვითონ გაზეთებზე კი არავითარს რეპრესიულს ღონისძიებას არ მოიხმარებენ.

რიგა, 9 სეკტ. გუშინ საღამოს 7 საათზე ოცზე მეტმა ნემეცის სტუდენტებმა, რომელნიც არკონიას ამხანაგობას ეკუთვნოდენ აქაური პოლიტეხნიკუმიდამ გამოსვლის დროს ბოდიში არ მოუხადეს მათგანვე შეურაცხყოფილს რუსის სტუდენტს, თავს დაეცნენ მას და ჯოხებით იმდენი სცემეს რომ კინაღამ მოკლეს. რუსის სტუდენტები და პოლიტეხნიკუმის დანარჩენი შაგირდები, რომელნიც ზემოხსენებულს ამხანაგობას არ ეკუთვნიან მალიან აღელვებულნი არიან ამ სამწუხარო შემთხვევით და მთავრობას სთხოვეს, რომ დაიცვას იგინი ამ ამხანაგობის თვითმნებელობისაგან.

## ეხლა თქვენი რიგია...

ტფილისი, 11 ენკენისთვეს.

ეხლა თქვენი რიგია, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურებო. თქვენმა ტფილისის თანა-მოძმეებმა, როგორც თქვენ ამბობთ, **საქართველოს** თავად-აზნაურებმა ეს რამდენიმე თვეა აღძრეს კითხვა თავად-აზნაურთა შვილების აღზრდაზე და ცოტ-ცოტათ მოდისასრულებაში პროექტი სააზნაურო სკოლების და გიმნაზიის გამართვისა.

ჯერ გორის უეზდში და შემდეგ თელავისა და სიღნაღის უეზდებში თავად-აზნაურებმა უკვე შეადგინეს განჩინება, რომ სკოლის სასარგებლოთ შეიწირონ, შეძლების და გვარათ, გადასახადი, რომ ამ გვარათ თავიანთ შვილების აღზრდის პატრონი დახდნენ თითონ აზნაურები. ქართლ-კახეთის აზნაურებმა გაიგებს, რომ სხვის თვალებში შეჩერება იმათ არც შვილს გაუზდის და არც სხვა ხეირს დააყრის, გაიგეს, რომ ვისაც ერთი წილი იმედი სხვაზე აქვს, ხუთი წილი თავის თავზე უნდა ჰქონდეს და თავისს ინტერესს თითონვე მოკიდეს ხელი, თითონვე აპირებენ თავის სკოლის წაყვანას.

ტფილისის აზნაურობას თუმცა აქვს ერთი მოსამზადებელი სკოლა, ტფილისში, როგორც თქვენა გაქვთ, ქუთაისში, მაგრამ ერთი სკოლა მთელს გუბერნიაზე, ადვილი წარმოსადგენელია, რაც უნდა იყვეს.

როგორც ქუთაისში, ისე ტფილისში სოფლის თავად-აზნაურებთ უჭირდებათ ამ შორეულს შკოლებში შვილების ჩამოყვანა და შენახვა და გარდა ამისა თითონ ამ შკოლებში იმდენი ადგილიც არ არის რომ ყველა მთხოვნელებს კმაყოფილება მისცეს.

საჭიროა, ამიტომ თითონ უეზდებში გაიხსნას თითო-თითო სააზნაურო სკოლა და ამ საჭიროების დაკმაყოფილება თითონ თქვენ თავად-აზნაურობამ უნდა იკისროთ.

ძნელი არ იქნება მთელი უეზდისთვის ერთი სკოლის შენახვა. რომ ყველასთვის ცხადი არ იყოს ეს საჭიროება და ეს საშვალება ჩვენ ვიტყოდით: თუ გლეხ-კაცები, თავად-აზნაურებთან შედარებით ღარიბნი და შეუპოვარნი, სხვა სახელმწიფო და საზოგადო გარდასახადთან ახერხებენ იმას, რომ სკოლის შესანახავად ფულებს იხდიან, თქვენ როგორ გაგიჭირდებათ ცოტაოდენი... გარდასახადი.

მაგრამ ბევრს თქვენგან, სამწუხაროთ, ეს სიტყვა აშინებს: გარდასახადი! ეჰ, გვეყოფა, ბატონებო, ამ სიტყვის შიში. თუ თქვენ თქვენი შვილის მომზადებისთვის ვინმე ოსტატს აძლევთ ფულს, ბევრ ფულს, რატომ თქვენ შვილებისვე გასაზდელათ არ გადაწყვეტთ ერთ-დროებით: „აჰა, ჩვენი წლიური შემოსავლიდამ ოცის თავი, ოც-და-ათის თავი ჩვენი შვილების სადღეგრძელოთ და სასწავლებლათ შემიწირავთო“. ეს უფრო იაფი იქნება თქვენთვის, რომ კარგათ იანგარიშოთ, და უფრო სასარგებლოც.

უეზდის მარშლების, უეზდის უფროსების და სხვათა მოთავეთა პირთა ვალია ეს ჰაზრი იქადაგონ თავად-აზნაურთა შორის. **საქართველოს** მაგალითი მიუძღვის იმათ.

სამეგრელოს თავად-აზნაურთა, ამ გარდასახადს გარდა, კიდევ აქვს ერთი გზა წყარო, რომლიდამაც არავინ იცის ვინ სარგებლობს. მეგრელებმა დასტოვეს ბანკის დასაფუძნებლათ დატოვებულ ფულებთან 2 პროცენტი სამეგრელოს შვილების ასაზრდელათ. ამ პროცენტიდამ სამოციოდე ათასი მანეთი შედგა. სად არის ეს ფული? ვინ სარგებლობს იმით? არის უწყებული საზოგადოებისგან თუ არა, რაში დაიხარჯა, ან რაში იხარჯება ეს ფული. უეზდის მარშლების ვალია ამ ფულების გამოჩხრეკა და ჯეროვან მიზნისთვის მოხმარება. ამდენი ათასი მანეთის სარგებლით ერთი შკოლის

---

დროების ფელეტონი, 12 ენკენისთვე

### ცხელ-ცხელი ამბები

„დროების“ 190 №-ში დაბეჭდილი იყო ქართველი ქალის წერილი რედაქტორთან ჩემ შესახებ. როგორც სჩანს, ავტორს დიდი სურვილი ჰქონია, რომ მე ჩავვარდე სინანულში და მოვეხდევინებია ჩემთვის ბოდიში იმაზედ რაც ქალების სასაყვედუროთ, წარმოვსთქვი, სხვათა შორის, „ცხელ-ცხელ ამბებში.“

გადავიკითხე ის ყოვლად ღირსი სტატია და.... გამეცინა!... „სად მრეკლე და სად თეკლეო?“... აბა ეს არის!... მე რას ვამბობდი და პასუხად კი რას მაძლევენ?!..—ჩემს ნათქვამში საბოდიშოს ვერა ვხედავ და ქართველი ქალის სტატიამ კი ერთი ძველებური ანბავი მომაგონა: ერთი მეფე ბძანებდა, რომ „ბოდიში წყენას, სულ თუ არ ავიწყებს კაცს, უნახევრებს მაინცაო.“ ამაზედ ერთმა დარბაისელთაგანმა მოახსენა პასუხად: „არა, ბატონო მეფევ! ზოგჯერ ბოდიში თვით დანაშაულობაზედაც უარესიაო.“ მეფემ მოსთხოვა დამტკიცება.— ერთხელ, როდესაც ეს მეფე ცისკარზედ მიბძანდებოდა, წამოეპარა უკანიდამ დარბაისელი და მოეხვია. მეფემ დაიყვირა: „რას შერები? ვის უბედავ მაგასო?“ და ვითომ-შეშინებულმა დარბაისელმა კი უპასუხა: „უკაცრავათ ბატონო მეფევ! შევსცდი: დედოფალი მეგონეთო.“ მეფე უარესად აენთო და დააპირა დარბაისელის დასჯა, მაგრამ იმან მოაგონა ნაძლევი და მოახსენა: „აკი მოგახსენებდით, ბატონო, რომ ხან-და-ხან თვითონ დანაშაულობაზედ ბოდიში უფრო საწყენიაო!“...— ეს ანბავი რომ მაგონდება მიტომ არ ვიხდი მეც ბოდიშს მაზედ, რაც მითქვამს ქალების შესახებ და მხოლოდ ვაქცევ ყურადღებას იმ ერთს ადგილს ქართველ-ქალის მთელ სტატიაში, სადაც ეს სიტყვები სწერია: **„რა ომია და სად არის ბრძოლა, რომ ჩვენც რაზმში ჩავსდგეთო“?** აი გულ საკლავი და თანაც სასაცინო სიტყვები!.. ჰმ... სად არის ბრძოლა და რას უნდა ვებრძოლოთო? ე. ი. „სად არის საქმე რომ გავაკეთოთ რამე და რა უნდა გავაკეთოთო?“ მე არა მჯერა, რომ ეს სიტყვები წრფელის გულით იყოს წარმოთქმული. ნუ თუ ახლანდელი ქალები ისე დაბრმავებულან, რომ ვერასა ჰხედვენ? ნუ თუ ისე დაყრუებულიცა არიან, რომ რასაც სხვები ეუბნებიან ისიც აღარ ესმისთ? არა! კიდეც ჰხედვენ, კიდეც კარგათ ესმისთ, მაგრამ სურვილი აღარა აქვსთ!... იმათ ისეთ გვარათა ზრდიან, რომ ყმაწვილობითვე უკვლენ იმ გრძნობებს და იმ ფიქრებს, რომელიც საჭიროა, როგორც მათ ასამაღლებლათ. ისე სამშობლოს საკეთილდღეოთაც. **„სად არის საქმეო“?** ჰმ... განა შეუძლიან ისე ბიჯის გადადგმა, ან თვალის გახელა, რომ საქმე თვალში არ ეჩხიროსთ? მაგრამ ვაი, რომ საქმეთ ის მიაჩნიათ მხოლოდ, რაც ავნებს ჩვენს დაცემულს ქვეყანას, და რაც არგებს იმას კი განზე უდგებიან, როგორც სასირცხვო საქმეს!.. რომ სხვა არა იყოს რა, განა ჩვენის ქვეყნის და ჩვენის ხალხის სწავლა-განათლება არ ჩაითვლება მისთანა საქმეთ, რომ იმას ყურადღება მიაქციონ?!—ვინ არ იცის რომ ჩვენი ბედის წერა მხოლოდ სწავლა-განათლებაზედ არის დამოკიდებული? ეს ჩვენს ხალხს დიდი ხანია გაგებული აქვს და მისი ბრალია რომ მშობლები მრავალგვარ გაჭირვებას ითმენენ; ოღონდ შვილები კი როგორმე გამოვზარდოთ და უსწავლელები არ დაგვრჩენო... ხომ ჰხედავთ თუ რა სურვილი აქვსთ მათ შვილებსაც, რომ რამე ასწავლონ? მაშ რატომ ვერა ვხედავთ დღეს ამ სურვილისა და ცდის ნამყოფს? ყოველ წლობით ათასობით მიდიან სხვა-და-სხვა სასწავლებლებში სწავლის მიღების მოსურნეები, მიდიან, ერეკებიან ვედრებით: „გაგვიღეთ კარი სასწავლებლისა რომ რამე შევიძინოთ და პირუტყვებათ არ დავრჩეთო“, მაგრამ იმ უბედურებზედ სახარების სიტყვებიც არ მართლდებიან: „ეძი-

დაფუძნება შეიძლებოდა ზუგდიდში, ან სენაკში.

ვიმედოვნებთ, რომ იმერეთის და სამეგრელოს თავად-აზნაურების მარშლები დაიცვენ თავად-აზნაურობის ინტერესს და ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ.

ღელო.

## გიორგი წერეთლის სიტყვა

### ბროსსეს პანაშვიდზე

(ქუთაისში კათოლიკეთ ეკლესიაში 8 სეკტ.)

თვალ-ცრემლიანი ვდგევართ ამ ტაძარში ქართველნი ორის სხვა და სხვა ალსარებისა. თანასწორის მხურვალე გრძნობით გვიდუღს გული ცხედრის წინ. ვინ არის ეს დიდებული მიცვალებული, რომელმაც თავის კუბოს წინ შეგვაერთა და აგვატირა ორი ღვიძლი ძმები სარწმუნოების ამოდენის ხნით ერთმანეთზე დაშორებულნი? ეს არის სახელ-განთქმული საქართველოს მეისტორიე მარი ბროსსე, გვარით ფრანცუზი, სარწმუნოებით კათოლიკე, გულით ქართველი და ქველ-მოქმედებით კაცობრიობის წარჩინებული წარმომადგენელი.

ბროსსე, როგორც მეისტორიეს, პირველი ადგილი უჭირავს საქართველოს მეისტორიებს შუა. ის არის დამაარსებელი საქართველოში ისტორიულის მეცნიერებისა.

ჭეშმარიტად დიდი ნიჭიერი და შორს გამსჭვრეტი ყოფილა ეს ფრანცუზი. როცა ის შეუდგა ქართულის ენის შესწავლას და გულში ჩაიგდო საქართველოს ისტორიის დამუშავება, იმდენათ მივიწყებული იყო ქართველობა და იმის ცხოვრება, რომ არამც თუ უცხო ქვეყნის კაცებსა, ოვით დაწინაურებულთ იმ დროის ქართველებსაც არ ჰქონდათ იმედი, რომ საქართველო კიდევ განახლდებოდა და ქართველთ ტომი კიდევ გაძლიერდებოდა. იმ დროს, როდესაც წყვდიადი ბნელი იყო გადაკრული საქართველოს წარსულზე და მომავალზე, მარი ბროსსემ მიაგნო საქართველოს ერის სიცოცხლის ძარღვი და მიხვდა, რომ დიდებული მომავალი უძღოდა წინ საქართველოს ისტორიას.

აი, ამისთვის უფრო შეუდგა ის ქართულის ენის შესწავლასა და იკისრა ვახტანგ VI დროს რომ „ქართლის ცხოვრება“ იყო შესწორებული, იმის ხელ ახლად განხილვა და დაბეჭდვა. მაგრამ ბროსსეს აზრით ეს არ იყო საკმარი. ის გრძნობდა, რომ იმის ისტორიული გამოკვლევა უფრო მტკიცე და ჭეშმარიტს საბუთებზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული და ამ განზრახვით იმან ორჯელ მოიარა საქართველო და სომხეთი თავის ფეხით—ერთხელ 1848 წელსა და მეორეთ 1851-სა. ბროსსემ გადაფურცლა ყოველი ისტორიული გუჯარი და დოკუმენტი საქართველოს ნიადაგზე, საცა კი ხელი მიუწვდა; შემდეგ შეუდგა იმათს განხილვასა; მაგრამ ამითაც კიდევ არ დააცხრო თავის ქველმოქმედება საქართველოს გულისთვის. იმან განიხილა გრამმატიკულად ქართული ენა და შეაგროვა ფილოლოგიურის წესით საკვლევი მასალები, იმან გადმოიღო ისტორიულ ნაშთებიდამ ზედ წარწერები და მიაპყრო მეცნიერული ყურადღება ქართულს ძველს ფულებსა. ბოლოს ბროსსემ გამოსცა ორ წიგნათ თავის არხეოლოღიური მოგზაურობა. სასიქადულო განზრახვა მისი ასრულდა. იმან მოიმკო სახელი მეცნიერებაში და შეიქნა საქართველოს არხეოლოღიის მამათ მთავარი.

ესრეთი იყო ეს წარჩინებული ფრანცუზი, რომელმაც მოავლო ხელი ჩვენგან მივიწყებულს მეცნიერების დროშას, და ამართა საქართველოს ნიადაგზე ამ გვარის სიტყვებითა: „ქართველნო, მეცნიერების შუქი მოადგა თქვენს ქვეყანასაც! დროა განიღვიძოთ და აღადგინოთ თქვენი დაცემული სამშობლო!“

ამიერითგან ყოველი ქართველისათვის ძვირფასი შეიქნა საფრანგეთის ერი, რომელმაც გამოუგზავნა თავის წარჩინებული შვილი ჩვენს ქვეყანას მეცნიერების მოციქულად და საქართველოს დიდებული ბედის წინასწარმეტყველად. . . . . . ამიერითგან ყოველს ქართველს კიდევ უფრო დიდი იმედი მიეცა საფრანგეთისა.

დღე-გრძელი იყოს ის ერი, რომელიც ზრდის ბროსსესთანა ქველმოქმედს შვილებსა!

ბროსსეს ამაგი დიდია ქართველებზე, საქართველო ვერაოდეს ვერ დაივიწყებს ბროსსეს ღვაწლსა. მარი ბროსსე მარტო იმითი კი არ არის ჩვენთვის დაუვიწყარი, რომ გვიჩვენა საუკეთესო იარაღი გვარის დასაცველად. არა, ის კიდევ უფრო საყვარელი და ძვირფასი შეიქნა ჩვენთვის, იცით, ძმებო, რისთვის? იმისთვის, რომ იმან პირველად გააცნო საფრანგეთს და მთელს ევროპას ჩვენი მივიწყებული სამშობლო. ბროსსეს მეოხებით დღეს მთელი განათლებული ევროპა კითხულობს ჩვენი დიდებულთ წინაპრების ცხოვრებასა. მთელს ევროპის სახელმწიფოების თვალში ბროსსეს შრომით მოგვეცა დიდი ფასი.

კურთხეულიმც იყოს ამ კაცის სახელი, საუკუნოთ იყოს იმის ხსენება!

## ახალი ამბები

ზუგდიდიდამ გვატყობინებენ, რომ იქ წრეულს ცუდი ტაროსების გამოცუდს მოსავალს ელიან. კორრესპონდენტის სიტყვით, ამ უბედურების გარდა, მთელს მაზრას დიდს ზიანს აძლევენ იქაურნი ღელე—მდინარეები, რომელიც დროდადრო ადიდდებიან ხოლმე და არე-მარეს წალეკავენ.

* * *

იქიდამვე გვწერენ:

„იმ ანდაზის თანახმად, რომელიც ამბობს „ერთი ჭირიც მარგებელიაო“ წარსულ ომიანობამ ის მაინც შეგვძინა, რომ კარგი გზები და წყლებზე ბოგირები გაგვიკეთეს. მაგრამ ომიანობის შემდეგ მათთვის ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ (აბა, მეტი რა ჯავრი აქვს ო. დადიანს!) და ზოგან ისე დაფუჭდნენ, რომ ზედ კაცს ვერ გაევლება და ზოგან კი (მაგ. სუფსაზე და ზუბაზეულზე) წყალმა წაიღო და მაგიერნიც არ ვაუკეთებიათ. მართალი მოგახსენოთ არც მოველით იმათ ხელ-ახლავ გაკეთებას, რადგანაც კაი მაზრის უფროსის წყალობით ეხლა ჩვენში იმისთანა დრო დადგა, რომ ყველა იმას ჰფიქრობს კისერზე თავი შევირჩინოო, თორემ ბოგირებზე ზრუნვის დრო ვისა აქვს!“

* * *

ჩვენ გავიგეთ, რომ ს. სტეფანწმინდას (ხევში) უთხოვნია მართებლობისათვის მამული ჩათის-წყალზედ (სტანცია ლარს-ხევიდგან), და მართებლობას შეუწყნარებია საზოგადოების თხოვნა. ეს დიდი შემწეობა იქნება იმ ხალხისათვის, რადგანაც იმათ არც სათიბები და არც საძოვარი არა აქვსთ და იძულებულნი იყვნენ მუდამ სხვის მამულებით ესარგებლათ.

* * *

ქ. შუშის სახალხო სკოლის მასწავლებელს იქ მოსწავლე ქართველებისათვის ქართულ ენაზედ დაუწყებინებია სწავლა. შექველია, რომ იქ საკმაო ქართველები ყოფილან და ამ მასწავლებელს იმისთვისაც დაუნახამს სასარგებლოთ ქართულის ენის სკოლაში შემოღება.

ებდეთ და ჰპოებდეთ, ირეკდეთ და განგეღოსთო!“ იმათ სასწავლებლის კარს არ უღებენ მხოლოდ მისთვის რომ „ცამოთქმა არ გივარგათ და ან რათ დაგყოლიათ დედის მუცლიდამ შავი და არა ჭრელი თვალები!“

ნუ დაივიწყებთ, რომ ამოდენა ხალხი ყოველ წლობით ათასობით, შინ დაბრუნებული რჩება უპატრონოთ და ზნეობით ეცემა. მაგრამ ნათქვამია: „ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო!“ მდევნელებსა ეს უნდათ. რა ენაღვლებათ. „სხვისი ჭირი—ჩემი ლხინიო!.. ჩემსას მართმევდე და აღარც შენსას მაძლევდე ამაზედ მეტი ულმერთობა კიდევ იქნება!!. ეჰ, რაღა გვეთქმის... ძლიერია ჩვენი მიწის-შვილის ბუნება, თორემ რატომ სულ ტატო წულუკიძეებათ არ იქცევიან ამდენი ხალხი? მაგრამ კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ამდენი ძალით გაუბედურებული ხალხი, სხვა საშუალება რომ აღარა რჩება-რა, მიდის მოსამსახურეებათ, მდაბალ-მუშებათ და იქ სცდილობს რამე შეიძინოს, როგორც მატერიალურათ ისე ზნეობითაც. უმთავრესი იმისი მიზანი ის არის, რომ თვალი გაავხილოთ, ცოტა რამ ვისწავლოთ თორემ ის ნურავის ეგონება, რომ მართლა თვითო-ოროლა გროშისათვის სტოებდნენ სახლ-კარს და ამოდენა კეთილ-შობილი ხალხი მდაბალ ე. ი. მცირე სარგებლიან მუშაობაში დღე და ღამესა ჰლევდეს. მაშ ცოდვა არ არის, რომ ამ ხალხს გზა არ ეძლეოდეს და ამათი ბედი და უბედობა არავის წყალობით სწყდებოდეს. ეს კიდევ, თუ გინდ, არაფერი, ვსთქვათ რომ მართლა საფუძვლიანი იყო მათი მიუღებლობა, მაგრამ ასსში და ათასში, რომ ძლივს გაჭირვებით თვითოოროლას მიიღებენ ხოლმე. მხოლოდ იმ ანგარიშით, რომ ხალხს ერთბაშათ არ დავანახვოთ ჩვენი უსურვილობა და არ მიგვიხვდენ განძრახვასაო, და ბოლოს ნელ-ნელა იმათაც ჰყრიან სასწავლებლებიდამ, ეს მაინც რაღა არის? ნიჭი არა აქვსთო და ცუდი ზნისანი არიანო?.. ვითომ ესეც თავის გამართლებაა, რაღა? თუ კი როცა მიიღეს მაშინ იმ ყმაწვილებს ნიჭიცა ჰქონდათ და ხასიათებიცა მერე რაღა მოუვიდათ? სჩანს რომ იმათ მხოლოდ გაფუჭება სცოდნიათ კარგების. ზოგსა რყვნიან, როგორც მათის საქმიდგანვე სჩანს და ზოგს თავს აკვლევინებენ. რამ უნდა გაგამეტებიოს თავი ახალგაზდა კაცს სასიკვდილოთ, თუ არ რამე დიდმა უსამართლოებამ და გაჭირვებამ, რომელსაც თავის-თავათ ვერ მორევია და დამხმარეთ კი ვერავისა ჰხედავს? ამაზედ დაფიქრება არ გვმართებს საზოგადოთ?!

ახლა უნდა ვიკითხოთ: ამისთანა საგნებზედ ჰფიქრობენ ეხლანდელი ქალები? აშოროს!... აბა თუ იციან ვის ხელშია მათი შვილებისა და ძმების გაზდა-განათლების საქმე? მაგრამ რომელ აქტიორს რა ხალი აქვს და სად, ის კი არ გამოეპარებათ!... როცა მათს შვილებს ითხოვენ სასწავლებლებიდამ, იმას ვერ გაიგებენ ხოლმე და ერვიეს რაფერი მატერია მოსვლიაო ის კი იციან! და მაშ სად არის მათი სურვილი საზოგადო კეთილისადმი?!... „ქალებს რომ ესაყვედურებით, კაცებში კი არიან მზრუნველები და მუშებიო?“ ბძანებს ქართველი ქალი, „რატომ ჩვენ ვერა ვხედავთ?“ „რატომ ვერ ვცნობთო?“ და სხვ. ამის პასუხათ ეს უნდა მოვახსენო: ახლანდელ ქალების თვალში (უმეტესობაზედ მოგახსენებთ და არა ყველაზე) კაცი ის არის: ვინც კარგათ იცვამს, კოხტური მიხვრა-მოხვრა აქვს, საპირფერო სიტყვებით მჭევრ-მეტყველებს და ფეხებს ათამაშებს, და ამისთანებს კიდეც იცნობენ. — ჩვენი მუშა ახალგაზდობა კი სულ სხვა გვარია: ის უფრო საზოგადო საქმეზედ ზრუნავს, ვიდრე თავის თავზედ და ამისთვის შეძლებაც არა აქვს, ღარიბია და ვერ იცვამს საქებურათ, მძიმე ტვირთ ქვეშ იხრება და მიტომ ვეღარ ახერხებს კოხტურად მიხვრა-მოხვრას, მის თავში სულ სხვა ფიქრებია და მიტომაც ველარ მჭევრმეტყველებს კომპლიმენტებით, გულზედ ნამდვილი ლოდი აწევს და არა

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**ქუთაისი, 10 სეკტემბერს.** (საკუთარის კორრესპონდენტისაგან) ტელეგრამმით გაცნობეთ, რომ გუშინ-წინ, 8 ენკენისთვეს, აქ გაიხსნა, მთელის გუბერნიის სახალხო შკოლების მასწავლებელთა კრება. ეს მესამე კრება არის ქუთაისის გუბ. სოფლის მასწავლებელთა; პირველი ორი იყო ადრინდელის დირექტორის ბ. ტროიცკის დროს დ.-ხონში.

დანიშნულ დროს, ორშაბათს შუადღეზე, აქაურს შფასო საქალებო სასწავლებელში სულ 50-მდინ მასწავლებელნი მოგროვდნენ. მოლევნის წინათ შორაპნის ბლაღოჩინმა მ. დ. ღამბაშიძემ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომლის შინაარსი ის იყო, რომ თქვენ, მასწავლებელთ დიდი და მძიმე მოვალეობა გაწევთო, ჩვენს ხალხს დიდი სურვილი აქვს სწავლისაო და ღმერთმა შეგაძლებინოთ ამ თქვენის წმინდა მოვალეობის კარგათ შესრულება და ხალხის სურვილის დაკმაყოფილებაო.

მოლევნის გარდახდის შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა სახალხო შკოლების დირექტორმა ბ. მარსოვმა. ბ. დირექტორმა თითო-ოროლა სიტყვა ყველაფერზე სთქვა: ჩვენი მასწავლებლები, როგორც საზოგადოთ ყველა შკოლის მასწავლებელნი, ჯეროვანად მომზადებულნი არ არიან და კრების მიზანიც ის არისო, რომ დაეხმაროს ამათ თავიანთ მოვალეობის კარგათ გასაცნობათაო; ჩვენი სოფლის შკოლების საქმე ისე ცუდათ არ მიდის, როგორც ზოგიერთი კორრესპონდენტები იწერებიანო; მართალია, ღარიბი შკოლები გვაქვსო, მაგრამ ადმინისტრაციის შემწეობით ამ შკოლებისათვის ხალხი სახელმწიფო ხარჯთან ერთად იხდის ხარჯსაო და ამით მატერიალურ მხრით დიდი სალავათი ეძლევაო; სწავლა-განათლების სურვილი იმერეთში, სამეგრელოში და გურიაში უფრო არის გავრცელებული, ვიდრე სხვაგან სადმე საქართველოშიო, და ამ მხარეების ხალხი უფრო ნიჭიერიც არის, ვიდრე ქართველთ ტომის სხვა წარმომადგენელნიო; ხმამაღლა და მაგრად გამოაცხადა ბ. დირექტორმა, რომ **სწავლა სახალხო შკოლებში უეჭველად ხალხის ენაზედ, სამშობლო ენაზედ უნდა მიდიოდესო.** ბოლოს ბ. დირექტორმა გამოუცხადა კრებას—თუ როგორ და რა წესით უნდა წავიდეს იმათი მუშაობა: დილიდამ სადილობამდინ სამაგალითო გაკვეთილები უნდა აძლიოთ პირველდაწყებითს შკოლაში; ნასადილევიდამ საღამოს 8 საათამდინ უნდა ვიბაასოთ იმაზედ—თუ რა ღირსება ანუ რა ნაკლულევანება ჰქონდა ამ სამაგალითო გაკვეთილებსო. შემდეგ, რამდენიმე დღის განმავალობაში, პროგრამმების შედგენაზე და გამოკვლევაზედ გვექნება ბაასიო.

ამ ორის სიტყვითა და მოლევნის გადახდით გაიხსნა კრება. გუშინდელის დღიდამ კრება შეუდგა მუშაობას. ანგარიში ამ კრების მოქმედებისა და ამის გარდაწყვეტილებათა დაწვრილებით მოგივათ გაზეთში დასაბეჭდათ.

ახლა კი ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ მეორე საყურადღებო მოვლენაზედ, რომელიც მოხდა ჩვენს ქალაქში გუშინ, 9 ამ თვეს, ახლად-მიცვალებულ აკადემიკოსის ბროსსეს პანაშვიდზე მოგახსენებთ:

ბროსსეს პანაშვიდი აქ ფრანგების ეკკლესიაში გარდაიხადეს; ეპისკოპოსმა მოთავეთ არ მისცა ნება, რომ სობოროში გარდაეხადათ. „ფრანგებს არა სწამთ ჩვენი მმართლ-მადიდებლების პანაშვიდის წესი, არ შეიძლებაო“. გასაკვირველია, თუ კი მანდ, სიონის სობოროში, თვითონ ეგზარხმა მისცა თქვენ რედაქციას პანაშვიდის გარდახდის ნება, რატო აქ არ შეიძლებოდა?!

მაგრამ ამით ბროსსეს პანაშვიდს არც ხალხი დაჰკლებია და არც პატივი. მთელი ვრცელი ჩინებული ეკკლესია აქაურ კათოლიკეთა სავსე იყო ხალხით. თვითონ პანაშვიდიც უფრო მომეტებულის დიდებით, ცერემონიით და სასოებით გარდაიხადეს, ვინემ მანდ, თფილისში. კუბო მორთული სხვა-და-სხვა ყვავილებით, დაფნის გვირგვინით, რომელიც ლამაზათ შემკული იყო ბროსსეს თხუზულებათა სახელების ზედწარწერის ქაღალდებით; თვითონ კუბოზე ეწყო თითქმის ყველა თხზულებანი და ნაშრომნი მიცვალებულს ბროსსესი და ამათში პირველი ადგილი „ქართლის ცხოვრებას“ ეჭირა; მშვენიერი არგანის კვრა, საამო მომღერლები და სხვ. და სხვ.

პანაშვიდის გარდახდის შემდეგ ბ. გიორგი წერეთელმა წარმოსთქვა მშვენიერი, გრძნობითა და აზრით სავსე სიტყვა, რომელსაც ამასთანავე გიგზავნით გაზეთში დასაბეჭდათ.

წერეთლის შემდეგ ექსპრომტით (მოუმზადებელად) სთქვა აგრეთვე რამდენიმე კარგი სიტყვა თ. ირაკლი ლორთქიფანიძემ. უმთავრესი აზრი ამ სიტყვისა ის იყო, რომ ჩვენ აქ არც ნათესაობის გრძნობამ შეგვყარა, არც ძალ-დატანებამაო; მოგვიკვდა მთელი ქართველებისათვის მოღვაწე ძვირფასი კაცი და იმის პატივის საცემად მოვსულვართ აქ; არ მივიღეთ მხედველობაში არც ის გარემოება, რომ მიცვალებული უცხო ტომის კაცი იყო, ურცხო სარწმუნოებისა და უცხო ქვეყნის შვილი; მივიღეთ მხედველობაში მხოლოთ ისე რომ ეს კაცი სიკეთისათვის, ჩვენი ქვეყნის წარმატებისათვის ზრუნავდა და მთელი თავის სიცოცხლე მუშაობდა და მხოლოთ ამიტომ ვსცემთ იმას პატივსა, მხოლოთ ამიტომ ვადიდებთ იმის სახელს. ეს გრძნობა, ჩვენის მხრით ძალიან კარგი მოსაწონი, სასიამოვნო, სანუგეშო გრძნობააო და ღმერთმა ინებოს, რომ ამგვარი მოღვაწე ხშირად გამეორებულიყოს ჩვენს ხალხშიო და სხვ. და სხვ:

ორივე ორატორის სიტყვამ ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დამწრე ხალხზე.

ბროსსეს ხელი ამ ჟამად პოპულარული სახელია ჩვენში; იმის ნახევარიც ვერ იცნობდა იმას სიცოცხლეში, რამდენიც ახლა, სიკვდილის შემდეგ იცნობს. ახირებულია: ნუ თუ სიკვდილია საჭირო, რომ ქვეყნისათვის ნამდვილი მოღვაწე და გამოჩენილი კაცი გაიცნოს და ჯეროვანად დააფასოს საზოგადოებამ?!

აქ არის ამ ჟამად ლაპარაკი იმაზედ, რომ მოაგროვონ ფული ან ჩვენს საადგილ-მამულო ბანკის შემოსავლიდამ გადაადებინონ იმდენი ჯამი, რომ იმის სარგებლით შეიძლებოდეს ბროსსეს სახელობის პრემიის დანიშნვა საქართველოს ისტორიიდამ საუკეთესო თხზულებათათვის.

ამ-გვარის პრემიის დანიშნვა საუკეთესო პატივის-ცემა იქნება ბროსსეს სახელისათვის.

---

# უცხოეთი

—

**წვრილი ამბები.** ინგლისურს გაზეთში *Times*-ში დაბეჭდილია, რომიდამ მიღებული წერილი, რომლის ავტორის სიტყვით, დემონსტრაციისათვის შეერთებული ფლოტის ადმირალთა ნება აქვთ საჭირო განკარგულება თავიანთ მმართებლობათა ნებადაურთველად მოახდინონ. თუ საჭიროება მოითხოვს შეუძლიათ დულცინიოსაც დაუშინონ ყუმბარები, აგრეთვე ნება-დაურთველად. მაგრამ ხმელეთზე კი ვერ გავლენ მმართებლებთან წინასწარ დაუკითხველად.

ამ დემონსტრაციისვე შესახებ ამავე გაზეთში პარიჟიდამ სწერენ, რომ არც ერთს სახელმწიფოის ესკადრას თუ

---

თქვენებური და მიტომ აღარ ეკუნტრუშება ბალებში... აი რატომ არ იცნობთ თქვენ და ვერ შეგინიშნავთ თუ სად არის ის ახალგაზდობა?!... ის სამუშაო ასპარეზზედა სდგას სადმე მიყრუებულ ადგილზედ სადაც ეკალია გასამარგლი და არა ვარდები საკრეფათ... და თქვენ იქით რა წაგიყვანსთ? იმათ რომ ვერ იცნობდეთ, ვსთქვათ, კიდევ გეპატიებათ, მაგრამ ვინც უფრო გამოჩენილები არიან, იმათ კი აფასებთ? თუ იცნობთ და აფასებთ, სად არის თქვენი მადლობა ანუ უკეთა ვსთქვათ მათის შრომისადმი თქვენი თანაგრძნობა? გნებავსთ მაგალითი?... რა მიზეზი გაბრკოლებდათ რომ არ დაესწარით ბატ. ბროსსეს პანაშვიდზედ და ვილაც თქვენი ჩანჩურ ივანიჩი რომ ყოფილიყო მაშინ კი ხომ შავებშიდაც ჩაჯდებოდით?!... გვინახევხართ, რომ აქეთ იქით დარბოდით და სცდილობდით შემწეობას ვილაც დამშეულებისათვის ცხრა მთას იქით, და თუ გარეულებზედ ჰფიქრობდით შინაურებმა რაღა დაგიშავესთ? ჩვენი დამშეულები კი თანაგრძნობის ღირსი არ არიან? მოთრეულების თანაგრძნობა და ხელის გამართვა თუ კი იცით, რატომ თქვენს შვილებსა, ან ძმებს არ მიჰხედავთ უცხოეთში რომ შიმშილითა ჰკვდებიან, ოღონდ ვისწავლოთ რამე სამშობლოს გამოვადგეთო?!... ხშირათ მოხდება ხოლმე შიმშილით მომაკვდავი ახალგაზდა სამშობლოს ხსოვნაში ჰლევდა სულს და მისი ამხანაგები უკანასკნელ სერთუკებს აგირავებდენ, რომ მისთვის ეპატრონებიათ როგორმე და მოუვლელ-დაუმარხავი კი არ დაეგდოთ!... დარწმუნებული ვარ, რომ იმ დროს თქვენ ბალებში იქნებოდით და ტკბილი ოცნებაები შორს გაფრენდათ და ან სიებს დაარბენიებთ და ფულებს უგროვებდით ვილაც უცხო ჯამბაზებს. აი რისთვის წამოგაყვედრებენ ხოლმე თქვენ ვილაც ლოდებს და ჩანჩურ-ივანიჩებს, თორემ თქვენ კერძო საქმეებთან ვის რა ხელი აქვს? რაც გნებავსთ ის მოიწონეთ, ვინც გინდათ ის შეიყვარეთ! საზოგადოებისათვის ერთია, ოღონდ კი გააკეთეთ რამე... მაგრამ საქმეს ვინა გთხოვთ, რომ უბრალო სიტყვასაც კი იმადლებით... მართალია ჩვენა გვყვანან ამორჩეული თავი კაცები, მაგრამ იმათ ხომ მისთვის არ ვირჩევთ, რომ საზოგადო საქმეს გამოუდგნენ და ჩვენზედ იზრუნვონ? და არც ისინი გვარჩევიებენ თავს ამ აზრით!... აქ მხოლოდ ხარისხის დევნაა!... და მაშასადამე არც ნება გვაქვს, რომ ვუსაყვედუროთ მათ!... ვერც რამეს ბობოლებზედ ვიტყვით, რომ გაჭირვებაში დაგვეხმარონ... მაგრამ თქვენ კი ქალებო ვალდებულები ხართ!... თქვენ რომ კეთილ საქმეს თანაგრძნობა გამოუცხადოთ და სიტყვა სთქვათ, ხმა ამოიღოთ, რისა და ვისა გეშინიანთ? მითი რას დაჰკარგავთ: ჩინებს, ორდენებს, პენსიებს თუ სხვას რამეს? არაფერს, მხოლოდ ჰქავე კომპლიმენტებს.. და ამაში როგორ სცვლით და ჰყიდით თქვენის ქვეყნის ბედნიერებას?.. თქვენ რომ სამშობლო გიყვარდესთ, მისი თანაგრძნობა გქონდესთ, მისი ავი და კარგი გაღელვებდესთ გალაპარაკებდესთ, მაშინ საზოგადო ჰაზრი შეიცვლებოდა, სხვა გვარად დამყარდებოდა და ხალხში გავრცელებული ხჰა ბევრს ცუდს გადაგვარჩენდა!.... საზოგადო ლალადი დიდია და ძლევამოსილია ყოველთვის! იმის დალაგმვა ძნელია!... ბევრს ცუდ კაცს შეაჩერებს და რომ უნდოდეს უსამართლობა ვეღარც კი გაბედავს... ქვეყნის ლალადს მოერიდება.... აი ესეც დიდი მუშაობა და შრომა იქნება თქვენის მხრით თუ კი მოინდომებთ!... მაგრამ ჯერ რომ ვერც კი არჩევთ მტერსა და მოყვარეს!... ეჰ, მეტს ნულა გვათქმევინებთ ქართველო ქალებო!...

აკაკი.

არ ყველა დანარჩენ სახელმწიფოების ესკადრის უფროსებთან დაკითხვით და თანხმობით ისე არაფრის ნება ექნებათ. თუ ეინიცობაა სახელმწიფოთა შორის თანხმობა დაირღვა, მაშინ არც ერთს სახელმწიფოს ცალკე არ შეუძლია დემონსტრაცია გააგრძელოს ან და მისი დემონსტრაციული ხასიათი გამოსცვალოს; და თუ მაინცა-და-მაინც არ დაიშალა და მოინდომა დემონსტრაციის გაგრძელება ან მისი ხასიათის გამოცვლა, მაშინ ამ მოქმედებების შედეგის სრული პასუხისმგებელი ის იქნება.

ამ უკანასკნელ ხანში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ავსტრი--ვენგრიის მომავალს შეიარაღებაზე. ხმა იყო გავრცელებული ვითომც ამ მოკლე ხანში ბოსნიაში და ჰერცოგოვინაში ჯარისათვის კაცების მოგროვას აპირობდენ, მაგრამ ეს ხმა ეხლა ოფიციალურად უარჰყვეს. მაგიერად ჰკრებენ მსროლელ ათს ბათალიონს.

—

საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრალმა ბ. ვადდიგტონმა დუელში გამოიწვია ჰერმანიის რეიხსტაგის დეპუტატი ბატ. ვერნბულლერი იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა დასწამა ვითომც მას რუსეთის წინადადება დამონსტრაციაში მონაწილეობის მიღების შესახებ ბისმარკისათვის გაემხილოს. მართალია ნემენცურმა და ფრანცუზულ (მომეტებულ ნაწილმა) გაზეთებმა უარჰყვეს ამ ამბის სინამდვილე, მაგრამ რადგანც ის ვერნბულლერისთანა გავლენიანსა კაცმა წარმოსთქვა, ვადდიგტონმა გაზეთების უარყოფით არ დათანხმდა და თავის პატივის დასაცველად, როგორც ზევით ვთქვით დუელში გამოიწვია ვერნბულლერი.

# განცხადებანი

მომავალი ოკტომბრის პირველიდამ ამა წლისა ვხსნი ქ. **გორში** სახლს, რომელშიაც ამ წლობით, ე. ი. მამავალ 1881 წლის ენკენისთვემდი, **მიიღებიან** თხუთმეტიდამ ოცამდე **მოსწავლე ბავშვები** რომელთაც ექნებათ საწოლი, სასადილო და საკითხავი ოთახები. ამავე სახლში მიიღება ჯერ-ჯერობით მუქთად ერთი რომელიმე ძალიან ღარიბი მოსწავლეთაგანი, ვინემ ადგილობრივს სასწავლებელს გაათავებდეს; ამასთანავე ბავშვებზე იქნება ზედამხედველობა მათის ზნეობის დასაცველად და სწავლაზედ თვალის დაჭერა. მსურველთ შეუძლიანთ მომმართონ პირობების და ფასის შესატყობლად ქ. გორში, საკუთარს სახლში.

ადელო თუთაევი.

(10—2)

## მანდილოსნების

სწორი ტილოს საყელოები; აგრეთვე კაცების და ბავშვებისაც. დიდ-ძალი პორტმანები პატარა და დიდს ფულებისთვისაც; პორტ-სიგარი, პორტ-ვიზიტი და საჯიბე. შიკური ალბუმები; სხვა-და-სხვა ნესესერი, გლიცერინის საპონები. ამ დღეებში ველი დიდძალს კასტორის შლაპებს კაცებისათვის. სტეფანე მანველოვის მაღაზია გოლოვინის პროსპექტზე მდივანის სახლი.

(3—2)

## ზომიერ ფასით

ორივე სქესის ყმაწვილებს მიიღებენ პანსიონერებათ და სანახევროდ პანსიონერებად და პროგიმნაზიის კურსის საგნებიდამ გაკვეთილებს აძლევენ. ჩუღურეთი, პანასეიჩის ქუჩა, ყოფილს სამხედრო პრების მახლობლად, მურავიევის სახლი. (4—2)

დამშეულთ სასარგებლოდ ყოფილის გამოფენის დაბოლოვებით მოსპობის გამო არის

დიდი

## დაყიდვა

ზეთიერი და აკვარელის სურათებისა გასაკვირველ იაფად, ბ. მირზოევის ყოფილს სამხატვრო გამოფენაზე, გოლოვინის პროსპექტზე, შიოევის სახლში ვესტლის ფოტოგრაფიის გვერდით. გაყიდვა იწყება ამ თვის 4-დამ ამავე წლის 1 პირველ ოკტომბრამდე. იმავ რიცხვიდამ გამოფენის სადგომის ერთი წილი ჰქირავდება. იქვე ეზოში იყიდება რკინის განჯინები (შკაფები).

(8—2)

## ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

| | |
|---|---|
| შადარეთ ჩვენი ჩაი—1 მ. 10 კ. | მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ. |
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— „ |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— „ | — —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოში, კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ დის.

(100—23)

### პატენტიანი შჩოტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(100—49)

ქ. გორში გაიღო

## მარიამ კერესელიძისაგან

ქართული წიგნის მაღაზია

იმყოფება კოპინაშვილის სახლში ოქონის ეკკლესიის მახლობლათ, სადაც ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნი.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ამ მაღაზიას ამ ადრესით:

**Въ Гори, въ книжный магазинъ Маріи Кереселидзе.**

(12—9)

### შენიშნვა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ახლა 2 მაეთად ღირს.

(100—35)

ქინაქინის ღვინო ციებისათვის, ატკინსონის საყნოსველი წყალი და ხვანი იყიდება ნამდვილს ინგლისის მაღაზიაში.

(12—6)

ციტრატ - მაგნეზია — წყურვილის მოსასპობელად მოიკითხეთ ინგლისის მაღაზიაში.

(25—18)

**თბილისის ქალაქის გამგეობა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ მან შემდეგი განკარგულებანი მოახდინა: 1) აღკრძალულ იქმნას შეშიანის და თივიანის ურმების დგომა ჰავლაბრის მოედანზე, და ამ ადგილის მაგიერ იმათ ეჩვენოსთ ლობნი მოედანი, რომელიც პირველ მოედანთან ახლოს იმყოფება; 2) გაიხსნას პუკიის მოედანი, რომელიც ალექსანდროვის და ანდრეევსკის ქუჩების შორის იმყოფება, და მიჰმართონ ამ მოედანს ყოველგვარი გამყიდველნი ხარჯ-გადუხდელად ვაჭრებისათვის.

(3—3)

### ვოდკის დეპო

გლადიკავკაზის სავოდკე ქარხნისა

## შაურ

აცხადებს, რომ 15 ივლისიდამ ამ 1880 წლ. იყიდება საუკეთესოდ დაწმენდილი და გადაყენებული ვოდკები შემდეგი წოდების: სასადილოა ბრინჯისა და ბულმერინგის, თითო ბოთლი უბოთლოთ 38 კ. ბოთლიანათ 45, ნახევარ ბოთლისათვის 25 კ. უბოთლოთ 20 კ. სხვა ხარისხების საგანგებოდ დამზადებულნი ცალკე პრეისკურანტით იყიდება.

ერთად მყიდველებს ბევრს დაუკლებენ.

ეს ვოდკები საუკეთესო პურის არყიდამ ყოფილა დამზადებულნი საორთქლე დამწმედელით და თავიანთ თვისებით უკან არ ჩამოურჩებიან სატახტო ქალაქების ცნობილთ ფირმებს.

მიგვიქცევია ბ. ბ. მყიდველების ყურადღება წარდგენილს ნაწარმოებზე რომელთ ღირსებისთვის ქარხანა პასუხს აგებს.

ვოდკის დეპო იმყოფება მიხაილოვის ხიდზე ვორონცოვის ძეგლის პირდა-პირ ლიხოტინსკოის სახლში.

(8—8)

იყიდება

ახალი წიგნი

სამწერლო

## თაიგული

შინაარსი:

**1.** ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა **II** უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა. **III** ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა. **IV** ძ... სადმი (ლექსი) გ—სა. **V.** ფერი ფერს— მადლი ღმერთს სამ მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან. **VI** ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფ. ერისთვისა. **VII** ხასიათის გაგლეჯა, სამუელ სმაილსისა **VIII** უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა. **IX** ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში. **X** მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის და აზნაუროვის მაღაზიაში გოლოვინის პროსპექტზე და „არარატის" წიგნის მაღაზიაში მიხაილოვის ხიდთან.

ქუთაისში პ. ჶ. ზერარდის წიგნის მაღაზიაში.

ფასი თითო წიგნისა ხუთი შაური, გაგზავნით სხვა ქალაქებში სამი აბაზი.

Дозволено цензурою. Тифлисъ 11 Сентября 1880 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი